ბაჩანას პასუხად

გადმახალისა, ძმობილო,
შენგან ნასროლმა იამა,
შენი ფანდურის ჟღერაი
მოხუცს გულს მეტად იამა!..
ყური ღავუგდე სიმებსა:
დამიტკბეს ბერი სულია,
გადამახედეს ფშაველში,
მთლად ამიჩქროლეს გულია!.
მასმინა შენმა ფანდურმა
მთის ყვავილების ქებანი,
"ფშაური ქალის ტირილინ
და "ტყვის სიმღერითნ შვებანი...
ბაასი ბებერ "მუხასთანნ
ალმასებრ ლექსით მსმენია,
დავღონებულვარ ბეჩავი,
ცრემლი ვერ დამითმენია!..
შენ დამანახვე, ძმობილო,
"მგზავრის საღამო მთებშიან, –
ფრთები დავუშვი მე დაბლა,
ველარ მოგყვები ფრთებშია:
შენ ყმაწვილი ხარ, მე – ბერი,
ღმერთმა გიკურთხოს ჩანგია
მაწაფე, მოძმევ ახალო,
ბერსა ახალი ჰანგია!

1886 წ.